საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №111/ნ
2022 წლის 30 სექტემბერი

ქ. თბილისი

„მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №112/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №112/ნ (www.matsne.gov.ge; 05/09/2016; ს/კ: 430110000.22.022.017185) ბრძანებით დამტკიცებულ „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების წესში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ წესის საფუძველზე, სახელმწიფო სასწავლო გრანტი მიენიჭებათ ქვემოთ მითითებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამის მოდულზე შემდეგი რაოდენობით ჩარიცხულ პირებს:

№	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამის მოდული	ადგილების რაოდენობა
1	სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	100
	ქართული ენა, ლიტერატურა	20
	მათემატიკა	7
	გეოგრაფია	6
	ისტორია	10
	ფიზიკა	3
	ბიოლოგია	8
	ქიმია	5
	სამოქალაქო განათლება	18
	ინგლისური ენა	12
	ფრანგული ენა	3
	გერმანული ენა	3
	რუსული ენა	5

2	სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	190
	ქართული ენა, ლიტერატურა	18
	მათემატიკა	15
	გეოგრაფია	10
	ისტორია	13
	ფიზიკა	7
	ბიოლოგია	10
	სამოქალაქო განათლება	15
	ინგლისური ენა	15
	გერმანული ენა	7
	რუსული ენა	10
	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	20
	ქართული, როგორც მეორე ენა	15
	მუსიკა	10
	ზოგადი განათლების I-IV კლასების მასწავლებელი	25
3	სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	135
	ქართული ენა, ლიტერატურა	25
	მათემატიკა	10
	გეოგრაფია	5
	ისტორია	16
	ფიზიკა	2
	ბიოლოგია	15
	ქიმია	4
	ინგლისური ენა	31
	ფრანგული ენა	1
	გერმანული ენა	5
	რუსული ენა	16
	მუსიკა	5
4	სსიპ – ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	85
	ქართული ენა, ლიტერატურა	12
	მათემატიკა	5

	გეოგრაფია	4
	ისტორია	4
	ფიზიკა	2
	ბიოლოგია	4
	ქიმია	2
	სამოქალაქო განათლება	13
	ინგლისური ენა	15
	ფრანგული ენა	2
	გერმანული ენა	5
	რუსული ენა	5
	სპორტი	10
	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2
5	სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	30
	ქართული ენა, ლიტერატურა	4
	მათემატიკა	2
	გეოგრაფია	2
	ისტორია	4
	ფიზიკა	1
	ბიოლოგია	2
	ქიმია	1
	ინგლისური ენა	4
	ფრანგული ენა	1
	გერმანული ენა	1
	რუსული ენა	4
	ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	4
6.	სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	50
	ქართული ენა, ლიტერატურა	8
	მათემატიკა	2
	გეოგრაფია	3
	ისტორია	8

	ფიზიკა	1
	ბიოლოგია	4
	ქიმია	2
	ინგლისური ენა	10
	გერმანული ენა	1
	სპორტი	4
	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	7
7	სსიპ – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	45
	ქართული ენა, ლიტერატურა	8
	მათემატიკა	1
	გეოგრაფია	2
	ისტორია	12
	ბიოლოგია	5
	ინგლისური ენა	16
	გერმანული ენა	1
8	სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	68
	ქართული ენა, ლიტერატურა	6
	მათემატიკა	6
	გეოგრაფია	10
	ისტორია	4
	ფიზიკა	2
	ბიოლოგია	6
	ქიმია	6
	სამოქალაქო განათლება	10
	ინგლისური ენა	13
	გერმანული ენა	1
	რუსული ენა	4
9	სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	7
	მუსიკა	7
10	სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	15
	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	8

	მუსიკა	7
11	სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	40
	სპორტი	40
12	სსიპ – შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	30
	ქართული ენა, ლიტერატურა	5
	მათემატიკა	7
	ისტორია	8
	ინგლისური ენა	10
13	შპს – შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	20
	ინგლისური ენა	20
14	ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	20
	ქართული ენა, ლიტერატურა	3
	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	4
	ისტორია	3
	მათემატიკა	3
	ინგლისური ენა	3
	ბუნებისმეტყველება	4
15	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	80
	ქართული ენა, ლიტერატურა	25
	მათემატიკა	6
	ისტორია	8
	ფიზიკა	5
	ბიოლოგია	6
	ქიმია	5
	ინგლისური ენა	25
16	შპს – საქართველოს უნივერსიტეტი	10
	ქართული ენა, ლიტერატურა	2
	მათემატიკა	2
	ისტორია	1
	ინგლისური ენა	2

	ფიზიკა	1
	ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	2
17	შპს – აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	20
	ქართული ენა, ლიტერატუარ	8
	ინგლისური ენა	12
18	შპს – ევროპის უნივერსიტეტი	50
	ქართული ენა, ლიტერატურა	7
	მათემატიკა	10
	ისტორია	4
	სამოქალაქო განათლება	9
	გეოგრაფია	4
	ბუნებისმეტყველება	10
	ინგლისური ენა	3
	რუსული ენა	3
19	შპს – თბილისის თავისუფალი აკადემია	3
	ქართული როგორც მეორე ენა	3
20	შპს - ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში	2
	ინგლისური ენა	2
	საერთო რაოდენობა	1000

“.

ბ) პირველი პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „1^1“ პუნქტი:

„1^1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტით მისთვის განსაზღვრული ადგილების საერთო რაოდენობის ფარგლებში აუთვისებელი ადგილები გადაანაწილოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მასწავლებლის მომზადების სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამის მოდულზე.“.

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამინისტრო ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას აგზავნის სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას ამოწმებს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და 10 სამუშაო დღის ვადაში სამინისტროს უდასტურებს ინფორმაციის სისწორეს, ასევე სამინისტროს უგზავნის ინფორმაციას იმ პირების შესახებ, რომლებიც ჩარიცხულნი არიან ორ ან მეტ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.“.

2. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. 2022-2023 სასწავლო წლისთვის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთაგან ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადგილების ფარგლებში დასაფინანსებელ პირებს შეარჩევს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თავის მიერ დადგენილი წესით და იმავე წლის 15 ოქტომბრამდე წარუდგენს სამინისტროს.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი **მიხეილ ჩხენკელი**